**26 თებერვალს** 14:00 - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ხაშურის მეშვიდე საჯარო სკოლაში გამართავს პროექტის პრეზენტაციას „წიგნის მოვლის კულტურა“, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო ღონისძიებას სკოლის მოსწავლეთათვის.

პროექტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ. 2016 წლის 6-8 აპრილს, პროექტის საპილოტე პროგრამა დიდი წარმატებით ჩატარდა იმერეთის რეგიონში, კერძოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში, ასევე პროექტი განხორციელდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლაში.

პროექტის მიზანია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაცემის საფუძველზე ბავშვებს გამოუმუშავდეთ წიგნის მოვლის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ჩამოუყალიბდეთ და აუმაღლდეთ წიგნთან სწორად მოპყრობის კულტურა.

აღსანიშნავია, რომ რესტავრაციის ლაბორატორიის თანამშრომლები დაათვალიერებენ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებს და რეკომედაციებს გასცემენ მათი მოვლის და უკეთესად შენახვის შესახებ.

ასევე სკოლის თანამშრომლებს საშუალება ექნებათ სურვილის შემთხვევაში სტაჟირება გაიარონ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაციის ლაბორატორიაში.

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
**მარიამ ჯაბიძე** - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №1/3